

წყლის ფასი უკვე მეორედ ორმაგდება

ზიკლავა მოსახლეობის ნაწილი სასმელი წყლისა და სანიტარული მომსახურების გარეშე დარჩის

ლევან აბრამიშვილი

საქართველოში წყლის რესურსების მართვის ახალი მექანიზმები მკვიდრდება. რეფორმა დანახარჯების სრულად ამოღებას გულისხმობს, რისთვისაც საცხოვრებელ კორპუსებში კოლექტიური მრიცხველები დამონტაჟდება. წყლის გადასახადი საერთო მრიცხველის ჩვენების მიხედვით თითოეული კორპუსისთვის განისაზღვრება და ამ კორპუსის მობინადრეები მას სულალობის მიხედვით გადაიხდიან.

გაზეთის წინა ნომრებში წყალმომარაგების ობიექტების პრივატიზებას შეეხებო. ამჯერად, წყლის მართვის ახალი მექანიზმებისა და ამ მხრივ არსებული საფრთხეების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად იმ პროცესების მიმოხილვას ვთავაზობთ, რაც პრივატიზების პროცესს უძღვოდა და დღემდე გრძელდება.

უფლავა წყალზე

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ არსებული საერთაშორისო შეთანხმებით, ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს სათანადო ღონისძიებები, რაც „სთანადო კვებას, ჩაცმას და საცხოვრებელ პირობებს“ მოიცავს.

კონვენციის №15 კომენტარი ეთმობა „წყალზე უფლებას“, რომლის მიხედვითაც ადამიანის არსებობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნდამენტური პირობად წყალი აღიარებულია.

გაეროს რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წყლ-

ის სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, „წყლისა და ნარჩენი წყლების ერთიანი გადასახადის მაქსიმალური ზღვარი საოჯახო მეურნეობის საშუალო შემოსავლის 4 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ელექტროენერჯიასა და გათბობაზე ფასების უცარი ზრდის შემთხვევაში კი შესაძლებელია 4-პროცენტის ზღვარიც მიუღებელი აღმოჩნდეს“.

საქართველოში წყლის ტარიფი ერთ სულზე 2 ლარი და 40 თეთრია. თუ პირობითად ერთ ოჯახში ორ დასაქმებულ და ორ დაუსაქმებულ წევრს ვივარაუდებთ, მაშინ წყლის

დღევანდელი ღირებულება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მაქსიმალური ზღვარი გამოდის. ბოლო დროს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ფასების მნიშვნელოვანი ზრდის გათვალისწინებით, ეს უკვე მიუღებელი ტარიფია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტარიფის გაზრდის შემთხვევაში, ეს კატეგორია სასმელი წყლისა და სანიტარული მომსახურების გარეშე დარჩება.

გაეროს ქვეკომიტეტის მიერ აღწ-

ერილი ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობის სახელმძღვანელო პრინციპებით, რომელიც სასმელ წყალზე უფლების რეალიზაციას ეხება, აუცილებლად უნდა გატარდეს საეკონომიკური შეზღუდვები ღონისძიებები, რათა არ შეიღავნოს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის უფლება სასმელი წყლის მიწოდებასა და სანიტარულ მომსახურებაზე.

დავით ჭიკაბაძე, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“: „დღემდე შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როგორ აპირებს თბილისის მუნიციპალიტეტი იმ ხალხის დას-

მარებას, რომელთაც წყლის გადასახადთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნებათ.

რაც შეეხება მოხმარებული წყლის ღირებულებას, საქართველოს პრეზიდენტის 10 აპრილის № 245 განკარგულების თანახმად, წყლის ტარიფი 2009 წლიდან კიდევ მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაძლოა გამრიცხველიანებული მოსახლეობისათვის, საშუალოდ, ერთ სულზე 4 ლარსაც გადააჭარბოს“.

25 მილიონი ევრო

2007 წლის 10 ივლისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (ერგ) შპს „თბილისის წყალი“ 25 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი დაამტკიცა. პროექტი, სხვა კომპონენტებს შორის, საცხოვრებელ კორპუსებზე საერთო მრიცხველების დამონტაჟებასაც ითვალისწინებს.

EBRD-ს პროექტის მოკლე ანოტაციაში აღნიშნულია, რომ პროექტის დამტკიცებამდე უნდა მომზადე-

სრულიად საიდუმლოდ

ბულიყო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, სადაც აღწერილი იქნებოდა კომპანიის სრული ფინანსური, ეკონომიკური, ტექნიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის მიმოხილვა.

თუმცა, პროექტი ისე დამტკიცდა, რომ საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია, საერთოდ ჩატარდა თუ არა ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი და კომპანიის აუდიტი, რომელიც პროექტის დამტკიცე-

ბამდე უნდა შესრულებულიყო. ერთადერთი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც EBRD-მ პროექტის დამტკიცების დროს იმსჯელა და საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება იყო. საზოგადოებისთვის ისიც უცნობია, საერთოდ არსებობს თუ არა კ. თბილისის სრული საკრედიტო ანალიზი, რომელიც ამ დოკუმენტის მიხედვით, საერთაშორისო

საბუღალტრო კომპანიას უნდა მოემზადებინა.

გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ დართული მე-15 ზოგადი კომენტარის 48-ე მუხლი, წყლის სექტორში მიმდინარე რეფორმების ირგვლივ არსებული ინფორმაციის გამჭვირვალობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას ითვალისწინებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, „თბილისის წყალს“, თბილისის მუნიციპალიტეტს და EBRD-ს, პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების გარდა, პროექტთან დაკავშირებული არცერთი დოკუმენტი არ გაუცია. არ მოწყობილა პროექტის საზოგადოებრივი განხილვაც, რაც გაეროს აღნიშნული კონვენციის უხეში დარღვევაა.

გამრიცხველიანებასთან დაკავშირებული პრობლემები

EBRD-ს პროექტის ფარგლებში არსებული წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის თანახმად, ინდივიდუალური მრიცხველების დაყენება კომპანიის ვალდებულებებში არ შედის. იმ მიზეზით, რომ ინდივიდუალური გამრიცხველიანება მოსახლეობას საკმაოდ ძვირი დაუჯდება, ოპტიმალურ ვარიანტად საერთო მრიცხველები დასახელდა: „კომპანია უნდა აცნობიერებდეს, რომ მისი პასუხისმგებლობა სრულდება სხვისი საკუთრების საზღვარზე და, შესაბამისად, ის არ არის პასუხისმგებელი საცხოვრებელ

კორპუსში არსებულ წყალსადენებზე“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კომპანიის ვალდებულება მომხმარებელიდან წყლის გადასახადების ამოღება, გადასახადის ოდენობა კი მრიცხველის მიერ დაწერილი ჩვენების მიხედვით განისაზღვრება. ლოგიკურად, ეს ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟების ვალდებულებასაც გულისხმობს.

კოლექტიური მრიცხველებთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სწორედ იმ მომხმარებლების

პრობლემები

გათიშვას, რომლებიც გადასახადებს კეთილსინდისიერად იხდიან, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა მეზობლებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდეს. საბოლოოდ, წყლის პატიოსანი მოხმარება შეუფერხებელ მიწოდებას არ განაპირობებს.

როგორც შპს „თბილისის წყალში“ აცხადებენ, გამრიცხველიანების ასეთი ფორმის შერჩევა ტექნიკურ საკითხებთან იყო დაკავშირებული. საკითხი სწორედ მოსახლეობის ფინანსური პრობლემების გამო გადაწყდა, რომელსაც ინდივიდუალური მრიცხ-

ველების დამონტაჟება ძვირი დაუჯდებოდა.

წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების მიხედვით, თითოეული ბინისთვის, საშუალოდ, ოთხი მრიცხველის დაყენება საჭირო, რასაც, EBRD-ს თანახმად, დაახლოებით 1.2 მილიონი მრიცხველის შემენა დასჭირდებოდა. გაუგებარია, რა საჭიროა ერთ ბინაში ოთხი მრიცხველის დაყენება, როცა ბინაში შემავალ წყლის ცენტრალურ მილზე მხოლოდ ერთი მრიცხველის დაყენება სრულიად საკმარისი იქნებოდა.

გარდა ამისა, სანიტარული, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი წყლის საფასურს ვერ გადაიხდის? რა შემარბლებელ ღონისძიებებს ითვალისწინებს პროექტი მსგავსი შემთხვევების დროს და რაში მდგომარეობს ეს შედეგები? თუ ურჩ გადამხდლებს წყალს გაუთიშავენ, ეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების უხეში დარღვევა იქნება, სხვა შემთხვევაში კი, წყლის საფასურს არავინ გადაიხდის.

პირველი დაზარალებულები

შპს „თბილისის წყალმა“ საცხოვრებელი კორპუსების გამრიცხველიანება 2007 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. პირველი უბანი, სადაც საერთო მრიცხველები დამონტაჟდა, ვაშლიჯვარი იყო. 2007 წლის მაისის ბოლოს საცხოვრებელი კორპუსების მიერ

მომხმარებელი წყლის ოდენობამ ფიქსირებულ გადასახადზე ნაკლები შეადგინა. როგორც ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ გამოიკვლია, მაგალითად, ვაშლიჯვარის დასახლების 76 კორპუსის მიერ 2007 წლის მაისისთვის საერთო მრიცხველის მიერ

ნაჩვენები მონაცემებით, გადასახადმა ერთ სულზე 1.99 ლარი, ანუ ფიქსირებულ გადასახადზე (2.40 ლარი) გაცილებით ნაკლები შეადგინა.

2007 წლის ივნისიდან თანხის დარიცხვა საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები მოსახლეობის დაზუსტე-

ბული რაოდენობისა და საერთო მრიცხველის ჩვენების მიხედვით უნდა მომხდარიყო. თუმცა ვაშლიჯვარის მოსახლეობა, მათ შორის 76 კორპუსის მცხოვრებლები, დღემდე, ფიქსირებულ 2.40 ლარს იხდიან, რაც მათი უფლებების სერიოზულ დარღვევას წარ-

მოადგენს. ამასთან, ფიქსირებული გადასახადი მოდის უკვე მოსახლეობის კორექტირებული სიების შესაბამისად და არა ძველი სიების მიხედვით, რაც კომპანიის მხრიდან ადამიანის უფლებების მიზანმიმართულად დარღვევას მიუთითებს.